

# გ რ უ პ ა ტ ი

ს ა ს უ ლ ი ე რ თ მ თ ა ვ რ თ ბ ი ს 8 1 6 5 1 6 8 1 6 0 .

განცილება უფიდესი სიცოდისა.

18-22 მარტიდან 1886 წლისა, № 601, სასულიერო წოდების პირთა დაჯილდობებაზე სასულიერო უწყებისამებრ დამსახურებისათვის.

უქანასამებრ მისი იმშერჩატორებითი დიდებულებისა, უწმიდესმა სინოდმა მოისმინეს წარდგინებას კარტის მდგრელო-მთავართა მათი უწყების სასულიერო პირთა დაჯილდობებზე დამსახურებისათვის სასულიერო უწყებისამებრ. ბრძანებები: საფულეების ზედა მოხდნილის მსჯელობისა, უწმიდესმა სინოდმა განაწილებას, მოსსენებული ამასთანავე ქონებულ სისა შინა სასულიერო პირი დირსი გახდნენ სისამებრ აღნიშნულ ჯილდოთა, რასთვისაც ეპარქიის მდგრელო-მთავართა გამოსაცავებლად, დაბეჭდილ იქმნეს სია ამასთანა პირთა უკრნალს «საკედესით უწყებაში».

სია სასულიერო წოდების პირთა, რომელნიც სამსახურისათვის სასულიერო უწყებისამებრ დაჯილდობებულ არიან უწმიდესი სინოდისაგან აღდგომის დღესა 1886 წელს.

საქართველოს საექსარხოს სისოიდას მებრ: ა) არქიმანდრიტის ხარისხით—წინამდებარი რესეტის იმპერატორის მისის ეკედებისა ქალაქს თეგერაში, მდგრელმონაზონი ევსევი; ბ) დეკანოზობის ხარისხით—ქართის ქალაქის, სადმირო სეფელის მასწავლებელი ქუთაისის ქალაქის გემნაზიისა მდგრელი გიორგის მარქავარიანი;

მკერდის ჯვარით, უწმიდესი სინოდისაგან ბორებელითა—თბილისის მაზრის, სოფლის უკანმის ეკედების მდგრელი ღრეული ბაქრაძე; თელავის მაზრის, ქალაქის ეკედების მდგრელი ღიმიტრი გალატიოზოვი; თელავის მაზრის, სოფლის მარანის ეკედების მდგრელი იოანე ციხისტოვი; გორის მაზრის, სოფლის შემოქმედის ეკედების მდგრელი სიმონ ლუკიანოვი; თელავის მაზრის, ენისელის ეკედების მდგრელი მიხეილ ჩიკვაძე; გლავიგაგაზის აღქის, ასეთის სამრეკლისა, გიზელის ეკედების მდგრელი თნისიმე

უანდევევი; ნახალჩივის აღქის, სტანიცის ბრახლადნის ეკედების მდგრელი გრიგორი რეზნევი; ოზურგეთის მაზრის, ჯვარცმის ეკედების მდგრელი ანდრია მგალობლიშვილი; ქუთაისის მაზრის, სოფლის სეირის ეკედების მდგრელი მიხეილ მჭედლიძე; ლეჩეშვილის მაზრის, დაბის ფაილაშის ეკედების მდგრელი ილარიონ გრიგორია; სენაკის მაზრის, სოფლის ალეკერდის ეკედების მდგრელი გიორგი ბერიძე დაზუგდიდის მაზრის, ახალ-დაბის ეკედების მდგრელი ნესტორ ალმიბაია;

გ) კამილავგითა—გორის მაზრის, ზემო სვედურეთის ეკედების მდგრელი სეიოთ თავდგირიძე; ოქანების მაზრის, სოფლის გავაზის ეკედების მდგრელი ბართლომე იანგოვი; ოზურგეთის მაზრის, ასხელ-ხეთის იასნე ნათლის მცემლის ეკედების მდგრელი კონსტანტინე გრიგორელაგი; ოზურგეთის მაზრის, სოფლის კარისუერის წმიდის გიორგის სეკედების მდგრელი იასე მახარაძე; სვანეთის საპრისტავოის, სოფლის მუკალის ეკედების მდგრელი გიორგი მარგარი; ზუგდიდის მაზრის, სოფლის ზუგდიდის ეკედების მდგრელი გიორგი ჯგუმია; სენაკის მაზრის, სოფლის ნამიკალოს ეკედების მდგრელი ვასილ ჯანაშია; რაჭის მაზრის, ასეთის კომისიის, კუდარის სოფლის ეკედების მდგრელი ლუკა ძაგნიძე; ზუგდიდის მაზრის, სოფლის წალენჯიხის ეკედების მდგრელი სოფორომ თვალთვაძე; შორაპნის მაზრის, სოფლის თუშის ეკედების მდგრელი ბესარიონ ყიფშიძე; ქუთაისის მაზრის, სოფლის გაგანელეთის ეკედების მდგრელი მოსე კიკნაველიძე; ქუთაისის მაზრის, სოფლის კულაშის ეკედების მდგრელი იასნე კნდელაგი და სენაკის მაზრის, სოფლის ანგრიფის ეკედების მდგრელი მამანური ქვანია;


დ) სკუფითა—გორის მაზრის, სოფლის ღოიანის ეკედების მდგრელი ღიმიტრი ელისაბედაშვილი; გორის მაზრის, სოფლის ნაჩეიისის ეკედების მდგრელი სპირიდონ კასრაძე; გორის მაზრის, სოფლის კლერკის ეკედების მდგრელი ერმალოზ ელილოვი; გორის მაზრის, სოფლის სქაშეოს ეკედების მდგრელი შიო ტიტივინიძე; გორის მაზრის, სოფლის ტენის ეკედების მდგრელი იასნე კნდელაგი და სენაკის მაზრის, სოფლის ანგრიფის ეკედების მდგრელი მამანური ქვანია;

ქალაქის, ეკატერინეს ეკვდესის მღვდელი თევზდორე გულისოვი; თფილისის მაზრის, სოფლის ალაგერდის ეკვდესის მღვდელი იოანნე მანსვეტოვი; ბორჩალის მაზრის, სოფლის ავრანის ეკვდესის მღვდელი გონისტანტინე ტოსტოპოვი; დუშეთის მაზრის, ანახურის სოფლის საბაროს მღვდელი გიორგი გელაძე; თელავის მაზრის, სოფლის კახეთისანთის ეკვდესის მღვდელი ლაზარე აბრამოვი; თელავის მაზრის, სოფლის საბურის ეკვდესის მღვდელი ნიკოლოზ ზარდიევი, თელავის მაზრის, სოფლის აღდგომის ეკვდესის მღვდელი დავით ჩახტაუროვი; სიღნაღის მაზრის, სოფლის ქვემო-მაჩხანის ეკვდესის მღვდელი იოსებ მენტემოვი; თონენთის მაზრის, სოფლის სალდორიონის ეკვდესის მღვდელი თევზდორე მტერელლოვი; ნაგებისკის ოდეჭის, სტანიცის ეკატერინეფრადის ეკვდესის მღვდელი ვარილი ქუპოვი; ვლადიგავაზის ოდეჭის, ასინის სტანიცის ეკვდესის მღვდელი სტეფანე დიაკონსკი; ღურგეთის მაზრის, გვამრეთის მაცხოვრის ეკვდესის მღვდელი ამბავი ჯაველიძე; ოზურგეთის მაზრის, ქანენთის მთავარ-ანგელოზით ეკვდესის მღვდელი მაქსიმე ქავთარაძე; ოზურგეთის მაზრის, სოფელ ძიმითის კვირიკე და ივლიოტეს ეკვდესის მღვდელი სერგეი მგელაძე; სენაკის მაზრის, სოფლის ჭალანიდის ეკვდესის მღვდელი ათანასი ბიბილეა; ზუგდიდის მაზრის, ეწერის სოფლის ჭვედა თევზათის ეკვდესის მღვდელი გიორგი გვაზავა; სენაკის მაზრის, სოფლის ტაბანიერის ეკვდესის მღვდელი დიმიტრი კებანიევი; ჭუთათის მაზრის, სოფლის ჭვედიშის ეკვდესის მღვდელი დავით ბახტაძე; სენაკის საპრისტალისა, სოფელ ჭალანიდის ეკვდესის მღვდელი გვასუნდორის ეკვდესის ეკვდელი დიმიტრი გვაზავარიძე; ზუგდიდის მაზრის, სოფლის აბასთუმანის ეკვდესის მღვდელი ეგნატე თათარიშვილი; სენაკის საპრისტალისა, სოფელ მესტიის ეკვდესის მღვდელი ანტონ ქურციგიძე; სენაკის მაზრის, სოფლის სალიშეარეველის ეკვდესის მღვდელი ბართლომე ხონელიძე; შორჩინის მაზრის, სოფლის გეთსამნის ეკვდესის მღვდელი დავით ციცექიშვილი; ჭუთათის მაზრის, სოფლის ივნიდიდის ეკვდესის მღვდელი თომა მაღლრაძე და აფხაზეთის ეპარქიის დაა აჩემჩირის ეკვდესის მღვდელი იოანნე კერესელიძე.

და) უწმიდესი სინაღის კურთხევით — თფილის ქალაქის იანნე ნათლის მცემლის ეკვდესის მღვდელი მიხაილ მელითაერი; დუშეთის მიზრის, სოფლის ბოკაციის ეკვდესის მღვდელი გიორგი ასათიანი; დუშეთის მაზრის სამთავრის წმინდა ნინის დედათ-მონასტრის

მღვდელი სტეფანე ბერიძე; დუშეთის მაზრის სოფლის გასხვების ეკვდესის მღვდელი სპირიდონ ფონ-ჯიძე; დუშეთის მაზრის, სოფლის გორგანის ეკვდესის მღვდელი გიორგი სამარგელიანი; დუშეთის მაზრის, სოფლის ნაგორევის ეკვდესის მღვდელი იოანნე არგანოვი; დუშეთის მაზრის, სოფლის წილოვანის ეკვდესის მღვდელი იოალ მენტემოვი; თელავის მაზრის, სოფლის ზემო-ხოდაშენის ეკვდესის მღვდელი ლილ მენტემოვი; თელავის მაზრის, სოფლის ზემო-ხოდაშენის ეკვდესის მღვდელი გრიგორი შავლობოვი; გორის მაზრის, სოფლის კავთიხევის ეკვდესის მღვდელი დავით ბარნაბოვი; გორის მაზრის, სოფლის ატოცის ეკვდესის მღვდელი თევზდორე მტერელლოვი; ნაგებისკის ოდეჭის, სტანიცის ეკატერინეფრადის ეკვდესის მღვდელი ვარილი ქუპოვი; ვლადიგავაზის ოდეჭის, ასინის სტანიცის ეკვდესის მღვდელი სტეფანე დიაკონსკი; ღურგეთის მაზრის, გვამრეთის მაცხოვრის ეკვდესის მღვდელი ამბავი ჯაველიძე; ოზურგეთის მაზრის, ქანენთის მთავარ-ანგელოზით ეკვდესის მღვდელი მაქსიმე ქავთარაძე; ოზურგეთის მაზრის, სოფელ ძიმითის კვირიკე და ივლიოტეს ეკვდესის მღვდელი სერგეი მგელაძე; გორის მაზრის, სოფლის ჭვედიშის ეკვდესის მღვდელი დიმიტრი მაჭავარიანი; სიღნაღის მაზრის, სისხის წმიდა სტეფანეს მონასტრის მღვდელი მონაზონი ალექსანდრე და სიღნაღისვე მაზრის, სოფლის ზემო-ხოდაშენის ეკვდესის მღვდელი იაკობ ჩახნაევი.

განჩინება სამართველო - იერეთის სინოდალის კანტორის 14 უებერვლიდამ და 20 მარტიდამ 1886 წლისა ერთი კრებულთაგანი დაიმტირა უკანის გარდახდევინებით მისთვის, რომ წინაადგევ სინოდალნიჭანტორის უქაზისა, რომლითაც ადეკრძალებათ მიცემა მოწმობისა გარდა მეტრიკის და ადსარებითი სიების პირთა და გამოწერილობათა, მისცა მოწმობა მთხოვნელს გვარის ჩამომავლობაზე. ეს ეცხადება საექსარხოსოის სამდვდელოებას «მწერესში» დაბეჭდვით გასაფრთხილებლად შემდეგ დროში.



# გრუმისი

1883-1886.

ეროვნული  
გამზღვითი

— «მწევანი» დამატებით გამოდის თვეში ხუთვერ, უკავშირ თვის ათს, ოცს ჭ აც და ათ რიცხვებში. —

რ ი ს თ ე ა ღ ს დ გ ა!

ცხრამეტი საუკუნეა მას აქეთ, რაც პირველად ქვეყანაზედ გაისმა მაღალი, ღვთაებრივი სიტყვა: ზეცით-ცმული ღვთაება აღსდგა მკვდრეთით, დასთრგუნა სიკუდილი და მოანიჭა კაცთა ცხოვრება საუკუნო. ცხრამეტი საუკუნეა მას აქეთ, რაც კაცის უმეტებამ დაანთქია უმანკო სისხლი კაც-მოყვარულის მოძღვრისა, ცხრამეტი საუკუნეა მას აქეთ, რაც უმანკო სისხლით მოჩწყულ დედა-მიწაზე აღმოსცენდა და მოეფინა ქვეყანას ის მოძღვრება, რომელმაც ძირეულად შესცვალა კაცობრიობის ცხოვრება, ის მოძღვრება, რომელმაც პირველად აუწყა ქვეყანას, რომ ყოველი კაცი ერთის ბუნებით, ერთის სახით არის შე. ქმნილი, რომ ყველა თანასწორია ღვთისა წინაშე-დაყრდომილი, გახრმილი, სულით და ხორცით ტანჯული კაცობრიობა ისე მოელოდა ამ სანუ-გეშო, სიცოცხლის ჩამდგმელს, სულიერის სიკუდილისაგან მხსნელ მოძღვრებას, როგორც გადამხმარი, გადამწერი, მინდორი ზეცის ნაშა. ძეველი, გაზიადებული ბერძენ-რომაელთ ცივილიზაცია მძიმე ტვირთად, ძნელ ასატან უღლად გარდაქა კაცობრიობისათვის. მაცობრიობა ველარ უძღებდა მძიმე ტვირთს, ველარ იტანდა ძნელ უღლს და უნუგეშო, სასო-წარკვეთილი ღრტვინავდა და იღვწიდა... მარი ერთ, რომელთაც იმ დროს მთე-

ლი კაცობრიობის სვე-ბედი ხელში ეჭირათ, სრულიად დაეცა. რომაელების ოვალ-გაღუწელენელი სამფლობელო, რომელმაც შთანთქა მთელი ძველის ღროსის წვრილმანი ერები, ერთს უშეველებელ უზარ-მაზარ მანქანას წარმოადგენდა. ამ მანქანის მართველად, მეთვალ-ყურედ მწარმოებლად სამრავლო, ზნეობით და გონებით დაცემული, გარყვნილი, ძალ-ლონე გამოცლილი იმპერატორები ითელებოდნენ. უმთავრესს ძალას კი, რომელსაც ეს საზარელი მანქანა მოძრაობაში მოჰყავდა, ყველა კაცობრივ უფლებას მოკლებული მდაბიო ხალხი და პირუტყულ მუშაობით გაოგნებული, კუუ-გონებას გამოცლილი მონები შეაღენდნენ. მანქანა ბარბაროსულის წინ დაუხედაობით, უანგარიშოდ, განუწყვეტლივ მუშაობდა, აუარებელ ძალას ჰლუპავდა უგუნურად, უთვალავ, განუსაზღვრელ საზრდოს ინთქავდა და გაძლიმა კი არ ეტყობოდა. მერერა გამოიდიოდა? მანქანის ნაწარმოებს, ნამოქმედარს არამც თუ ახლო უდგებოდა ვინმე, პირ-იქით, ყველა ერი-დებოდა, როგორც რაღაცა საშინელს, საზარელს, რომელიც თითქოს ხელის შეხებისათანავე სიკვდილს უქადდა. ამ გვარად მოწყობილ მანქანას, რასაკვირველია, კეთილი ბოლო არ ექმნებოდა. მუშები შორს უდგებოდნენ, სიმწვავით კბილს-ალრჭენდნენ და საზრდოს აკლებდნენ იმ მანქანას, რომლის ჭახრაკებიც შეუბრალებლად ხორცს ჰკლეჭდნენ. მანქანას ნელ-ნელა ძალა აკლდე-

ბოდა, ცვდებოდა, და ბოლოს სრულიად ასო-  
ასოდ დაიშალა. მს სწორედ ასეც უნდა მომხდა-  
რიყო: ძველის კაცობრიობის ცხოვრება, მისი  
პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილობა  
ისეთ საეჭვო, საშიშარ საფუძველზე იყო აშენე-  
ბული, რომ ადრე თუ გვიან უნდა დაღუპვილი-  
ყო. სხვა-და-სხვა ტომ-გვაროვანი, სხვა-და-სხვა  
ფეროვანი სახელმწიფო, თუ საზოგადოება მხო-  
ლოდ მაშინ იქნება მკვიდრი, ერთ-გვარი სხეული,  
როდესაც ყველა ამ სხეულის ნაწილები თავის-  
თავად, ძალ დაუტანებლივ შეერთებულნი, შედუ-  
ღებულნი აჩია ერთად და არა ძალადობით შე-  
დუღებულნი.—შულლი, განხეთქილება, მუდმივი  
ომი, ჯაჭვი და ბორკილი, ხანჯალი და ხმალი,  
მოჩება, კაც-სიძულვილი, ბუნების და თავის-  
უფლების უარყოფა და შეგინება, გარყვნილობა,  
ზნეობის დაცემა,—აი რისაგან შესდგებოდა ძვე-  
ლის ხალხის სახელმწიფო და საზოგადოებრივი  
წყობილება, აი რაზედ უნდოდათ ძველ დროს  
მკვიდრის პოლიტიკურის და სოციალურის შენო-  
ბის დამყარება. ძველმა დრომ ამაზედ უკეთესი  
ვერა მოიგონა რა. ამიტომ საკმაო იყო განკაცე-  
ბული ღვთაება მოპელენილიყო ქვეყანას, რო-  
გორც უბრალო, ღარიბი გალილეველი წინასწარ-  
შეტყველი და ეუწყებინა კაცობრიობისთვის უკვდავი  
შეურყეველი ღვთაებრივი კანონი, რომელიც ორის  
სიტყვით იხატება: «გიყვარდეს მოყვასი»,—რომ  
ძველი შენობა საძირკველამდინ დარღვეულობი  
და საუკუნოდ დაცემულიყო. ამ ორმა სიტყვამ  
სული შთაუდგა დაკრდომილს, სასო-წარკვეთი-  
ლებაში ჩავარდნილ კაცობრიობას, თვალი აუზი-  
ლა და აჩვენა ხალხის ცხოვრების გზა. მრავალ-  
ტანჯული კაცობრიობა დიდის სიხარულით მიე-  
გება ამ სიტყვებს და ძველ ნანგრევებზე ახალი  
შენობა დაფუძნა. ამ შენობას სარძიკვლად ის  
მტკიცე ძირი ჩაედგა, რომელზედაც ამოდის კაცის  
სიყვარული, მისის კაცურის ღირსების პატივის-  
ცემა და უმეტ-ნაკლებობა. აი ეს არის ის ცხოვ-  
რება, რომელიც მოგვანიჭა მაცხვევარმა, თავის  
სიყვდილით დაამარცხა, დათრგუნა ის სიკედილი,

რომელსაც ძველი კაც-მძულვარე, მონებრივი  
ცხოვრება წარმოგვიდგენდა. თუ აქამდინ ახალ  
მცნებას, ახალ ცხოვრების კანონს სრულიად ვერ  
შეუმუსრავს ძველის დროის ნაშთი, თუ ახლან-  
დელ ცხოვრებაშიაც კიდევ ვხედავთ კაც-მძულ-  
ვარებას, მონაბას, სისხლის ღვრას,—ამის მიზე-  
ზი ის არის, რომ ახალ ცხოვრების წალკოტში  
ძველი ნერგი კიდევ დარჩენილა. მოვა ღრო და  
ეს ნერგიც სრულიად ამოიფხრება; მოვა ღრო და  
ახალი მცნება, ახალის ცხოვრების ყვავილი  
ვრცლად მოეფინება ჩვენის ცხოვრების ყოველ მხა-  
რებს. და მაშინ ეს ღლესასწაული უფრო დიდ და  
ბრწყინვალე ღლესასწაულად გარდიქცევა; კაც-  
ბრიობა მაშინ უფრო დიდის სიყვარულით მიე-  
გებება ამ ღლესასწაულს და წმინდის გულით  
იტყვის: «მჩინსტე ალდგა და მოგვანიჭა ჩვენ  
ცხოვრება საუკუნო!» («მცერია»)

### როგორ ღლესასწაულობდენ ჩვენში ჭინოთ ძრისტეს აღდგომას.

ცხადია, რომ ხალხი წინ იწევს სწავლით, გო-  
ნებით, სატატობით და მოხერხებით. მაგრამ ძველე-  
ბურად ღლესასწაულობაბის ასრულებას ვეღარ ახერ-  
ხებს. შველაფერს ძველებურს სტოვებს და ახალს  
ეჩვენა. პლატ არის ძველებური არც დარბაისლობა,  
არც ღლესასწაულობა, არც მიპატიება და არც მო-  
პატიება. შველას ახალი მოსწონს და ძველს ივიწ-  
ყებს, თუმცა ზოგიერთი ძველი ჩვეულება ბერად  
უკეთესია ეხლანდელ ჩვეულებაზე. პვილოთ ალდგო-  
მის ღლესასწაულობა. როგორ ღლესასწაულობდნენ  
ჩვენში ამ უკანასკნელ დრომდე შჩისტეს აღდგო-  
მას?

მჩავალი ხალხი მიღიოდა ეკკლესიაზე შაბათს  
სალამოსვე და მთელ ღამეს ათევდნენ ეკკლესიაზე-  
მღვდელი, ღიაკონი და მთელი კრებულიც ეკკლე-  
სიაზე იყო აღდგომის ღამეს ერთად მჩველთან.

შაისმოდა თუ არა პირველი მამლის ყივილი, მოუ-  
ხშირებდნენ ზარების რეკას და ბუკის ძანილს. სა-  
მრევლოში მებუკეები აღრჩეულნი იყვნენ და მათ  
გარდა სხვა ბუკის დაძახებას ვერც კი გაძედავდა.

ბუკია ხმა ყველას გააღიძებდა, რა დაშორებულე-  
ბიც უნდა ყოფილიყვნენ ეკკლესიაზე. დიდი და პა-  
ტარა, ღარიბი და მდიდარი ყველანი მეორე ან მე-  
სამე მამლის ყივილის შემდეგ ეკკლესიაზედ იყვნენ  
შეკრებილნი. მღვდელი მოუკითხავდა ყველა მრევლს  
და, როდესაც დარწმუნდებოდა ყველას შეკრებაზე,  
ასევენებდა ხატს, ჯვარს და შემოსილი მღვდელი  
და ხალხი გალობით გამოიიდოდნენ ეკკლესიიდამ  
გართ—ეკკლესის გარშემოსავლელად. მთელი მრევ-  
ლი სანთლებით ხელში სამჯერ შემოუვლიდა ეკკლე-  
სის ზარის რეკით და ბუკის ძანილით და მერე ყვე-  
ლანი დასდგებოდნენ დასავლეთის კარებთან. მღვდე-  
ლი აღასრულებდა ტიბიკონის მოკლე წესს და შემდეგ  
მიბრუნდებოდა ხალხისკენ და დაილოცებოდა ასე:  
«დიდება ღმერთსა, სამებულ-დიდებულო ღმერთო,  
და აღდგომაო ქრისტესო, შენ შეწიე ჩვენს მეფეს,  
ხელმწიფეს, განაძლიერე მისი სამეფო, და დაუმორ-  
ჩილე ყოველნი მტერნი და მებრძოლნი ქვეშე  
ფერხთა მისთა; ყოველ საქმეში უშველე და განაძ-  
ლიერე. ხალხში გაისმოდა მღვდლის სიტყვის  
გათავების შემდეგ ერთი დიდის გრიალით სიტყვები:  
«უშველე და განაძლიერე! დაიწყებდა ისევ მღვდე-  
ლი: «სამებულ-დიდებულო ღმერთო და აღდგომაო  
მრისტესო, განაძლიერე და შენ შეწიე ამ სამრევ-  
ლის თავადს, აზნაურს და გლეხს, მოეხმარე მათ  
გაჭირებაში და ნუ მოაკლებ მათ შენ შეწევნას,  
და ყოველ საქმეში უშველე და განაძლიერე».  
ხალხი კიდევ განიმეორებდა სიტყვებს: «უშველე  
და განაძლიერე»-ს თითქმის ქუჩილის მსგავსად. შემ-  
დეგ ამისა დალოცავდნენ შინ მოყვანილ ქალებს სხვა  
სამრევლოდამ, ბოლოს სამრევლოდამ სხვაგან გათ-  
ხოვილებს და შესანიშნავ ეკკლესის შემწირველებს.  
წირების გამოსელის შემდეგ დასხდებოდნენ ეკკლე-  
სის გალავანში, გაიხსნილებდნენ და წავიდოდნენ  
შინ მშვიდობით. ამ დღეს ყველანი ერთი-ერთმა-  
ნეთს ულოცავდნენ, ხარობდნენ, სხვა-და-სხვა ადგი-

ლას შეიკრიბებოდნენ და მშვენიერად დროს აკა-  
რებდნენ ფერხულით, თამაშობით და სხვა-და-სხვა  
ტკბილი სააღდვომო საგალობლებით. ასე დღესას-  
წაულობლნენ მრისტეს აღდვომას ძეველ დროში.

მხლა ძეველი ჩვეულება აღარ მოსწონთ.  
ბევრს ადგილას ეკკლესის გარეთ შემოვლის დროს  
ოთხი-ხუთი მეტი მრევლთაგანი ვერ მოასწრებს.  
სხვა-და-სხვა პირების დალოცავა მღვდლისა და ხალ-  
ხისავან მოისპო და წირვაც ისე აღრე გამოდის,  
რომ მესამედი მრევლიც ვერ მიასწრებს ეკკლესიაზე.  
აღარ არის ის ტკბილი ძმური სიყვარულობა ერთ-  
მანეთში, რაც წინეთ იყო. დღეს თუ ერთად თავი  
მოიყარა ხალხმა დღოების გასატარებლად, არ შეიძ-  
ლება ვინმე მძიმედ არ დაიჭრას და ხან-დის-ხან  
არაენ მოკედეს. სასამართლოები ვეღარ უდიან  
საჩივრების გარჩევას უპატიურების მიუენებაზედ.  
აშიტომ ცდილობენ მოსამართლეების რიცხვის  
გამრავლებას და ის კიარ იყიან, რომ მოსამართლეე-  
ბის რიცხვის გამრავლება ხალხში ზნეობას ვერ  
აღამალებს.

185  
182  
მაღალ ყოვლად სამღვდელო პავლე, საქართვე-  
ლოს მმსარხეობი. \*)

მაღალ ყოვლად უსამღვდელოება— პავლემ  
(პეტერბურგის დებედეემა), ტვერის გუბერნიის  
მცხოვრებმა, უმაღლესი ღვთის მეტყველების განათ-  
ლება მიიღო პეტერბურგის სასულიერო აკადე-  
მიაში, სადაც დაასრულა კურსი მაღლისტრის ხარისხით  
1853 წელში. თავდაპირველად მაღალ ყოვლად  
უსამღვდელოება მსახურებდა სასულიერო სასწავ-  
ლებლებში. შინაპირველ ის იყო მასწავლებლად და

\*) მთლად ვაჭქლავთ «Русский Поломникъ»-იდგან ამ  
პიოგრაფიულ ცნობებს პატრიცეპტერ მწევმოსოფთავრის საქართ-  
ველის ექსარხოსის პავლეს ცხოვრებაზე.

ინსპეკტორად პეტერბურგის სემინარიისა, შემდეგ ამავე აკადემიის ინსპექტორად და ბოლოს იყო სმოლენსკისა და პეტერბურგის სემინარიების რექტორად. მასკოპოსად ხელ დასხმულ იქმნა 1868 წელში და ორი წლის განმავლობაში იცყოფებოდა პეტერბურგის სამინისტროს მინისტრის ვიკარიად. 1871 წელში ის გადაუცანილ იქმნა პიშენების თავისუფალ კათედრაზე, სადაც მან მიიღო არქიეპისკოპოსობა და დარჩა ამ ეპარქიის მმართველად 1882 წლამდე. ბოლოს 18 ივლისიდან ამავე წლისა ის გადმოყვანილ იქმნა საქართველოს საექსარხოს შიდ ექსარხოსად და არქიეპისკოპოსად მართლისა და კახეთისა.

მაღალ ყოვლად უსამღვდელოეს პავლეს უჭერია ერთი უპირველესი აღკილი რუსეთის ეკკლესიის მღვდელთ-მთავრებში. მექონე ღვთის-მეტყველების დიდი ცოდნისა და ეკკლესიის მქადაგებლის მჭერ მეტყველებისა, ის ამავე დროს განსხვავდება თავისი მტკიცებასითით და შესანიშავი მმართველობითი ნიჭით. შველა ამ მაღალ თვისებათა მიეკუთხეს საზოგადო ყურადღება მის მასწავლებლობის დროს; მაგრამ ყველა ამ თვისებათ საკმაოდ იჩინება თავი ბესარაბიაში, რომელიც, როგორც ყველამ იცის, შესდგება სხვა-და სხვა ხალხებისაკან. ძღვიდა თუ არა ბესარაბია-პიშინების კათედრაზე, მაღალ ყოვლად უსამღვდელოეს პავლე კეთილ სინიდიანად შეუდება თავის თანამდებობის მტკიცედ აღსრულებას. მას აქ უნდა ყოველივე გარდაეკეთებია და ბევრი რამ ახალი დაესრუებია. ბესარაბიის სამღვდელოება, თუმცა ამ მხარეში არსებობდენ სასულიერო სასწავლებელნი, მოღადენ გაუნათლებელი იყო, და ამიტომ ის, სამღვდელოება, ვერ აკმაყოფილებდა თავისი სამწყსოის სარწმუნოებრივ-ზნეობით მოთხოვნილებათ. სამღვდელოებას არ ესმოდა არც რუსული და არც საეკკლესიო-სლავიანური ენა და ამიტომც უგულოთ ასრულებდა თავის მწყემსურ მოვალეობათ და უმთავრესად მეცადინობდა, რომ მოვალეობია ცხოვრებისათვის საჭირო ნიერიერი საშუალობანი, რისთვისაც სამღვდელოება დიდ ყურადღებას აქცივდა თუთუნის მოყვანის საქმეს და იჯარით აღებ-მიმცემობას. ახალმა მწყემსთ-მთავარმა საკრძობ-

ლად შესცვალა ესეთი წეს-წყობილება. მან თავის უურადღება უმთავრესად სამღვდელოებაში განათლების გაურცელებას მიაქცია და ამისათვის მან ძირეულად გადაკეთა აღვილობითი სასულიერო სასწავლებლები და მასთან, როგორც სჩანს მისი საკუთარი სიტყვებისგან, რომელნიც საქმით სრულიად გამართლებულ იქმნენ, სემინარიის მეუმტროსეთ და მოსწავლეებთან ჰქონდა უფრო მეგობრული და ამხანაგური დამოკიდებულება ვინემ ნაჩალნიკური. თხე-კლასიანი სასწავლებლისთვის უსამღვდელოესმა აღაშენაუდიდესი შენობა, მასწავლებელთა მცირევა-მაგირი გაატიდა აღვილობით მონასტრების საშუალებათგან და დაუღალვად აღევნებდა ყურადღებას სწავლების საქმეს. შემდეგ მწყემსთ-მთავარმა მთლად გარდააკეთა ეპარქიალური საქალო სასწავლებელი, რომელიც წინეთ რამდენიმე მოსწავლე ქალს იტევდა და და შემდეგ ისეთ დიდ შენობად გადაკეთა, რომ მასში შეეძლო შეცვლა ყველა მოსურნე ბავშებს, რომელთაც შემდეგში უნდა მოეფინათ მართლ-მაღიდებელი განათლება მთელს ბესარაბიაში: მან იცოდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა სახლობისთვის, საზოგადოებისთვის, სახელმწიფოსთვის და ეკკლესიისათვის კეშმარიტად მრისტიანე ქალს, განსაკუთრებით მრისტიანულად განათლებულს და აღზრდილს მღვდლის ცოლს, ამიტომაც მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა სამღვდელოების წინაშე მათი ათი წლის მაშინების კათედრაზე მყოფიბის დღესასწაულის დღეს, სხვათა შორის, გამოთქვა შემდეგი: «მე ცხადად მაქეს წარმოდგენილი, თუ როგორი დიდი ზნეობითი ძალა იზრდება ბესარაბიაში, სადაც უნდა გაურცელდეს განათლება, ეს ძალა ერთად რუსულ ენასთან შეიიტანს ოჯახობაში და მთელს სათემოებში ნამდვილ მრისტიანულ, ნამდვილ რუსის სულს და მოპოვენს ბესარაბიაში რუსულ ენას, რომელიც აქ ყველგან არ ისმის და მეც გულით მიხარია, რომ ძალა, რომელიც აქ იზრდება, ყოველ წლობით მატულობს როგორც რიხეით, აგრეთვე თვისებით და ვრცელდება ბესარაბიის ყოველ აგრძელების მღვდლების ცოლების საშუალებით, როკუთხეში მღვდლების ცოლების საშუალებით, რომელნიც არიან სასოფლო სკოლების მასწავლებლად.

მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პავლე განსაკუთრებული მუჟაიოთობით შეუდგა იმ ნაკლულევანებათა გასწორებას, რომელიც არსებობდნენ აღილობით სამღვდელოებაში და ამავე დროს როგორც განათლებული და კეთილ-მსურველი მწყემსთ-მთავარი ექცევოდა ამ სამღვდელოებას მამა-შეილური სიყვარულით, როგორც ამაზე მოწმობს თვით იქაური სამღვდელოება, და უმთავრესი ზრუნვა უსამღვდელოესისა იმაზე იყო მიქცეული, რომ უფრო სწორ და ჰუმანურ გზაზე დაეყენებია კონსისტორიებში საქმის წარმოება. თვით კონსისტორიამ თვის აღნესში მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობისადმი გამოსთქვა. ის აზრი, რომ უწინ კანსისტორის შემადგენელობა იყო «ხალხში საარაკოდ». მაღალ უსამღვდელოება პავლემ სასაჩვებოთ დაწესებულებად გარდაა ქცია კანსისტორია, რომელიც არ ეწინააღმდეგებოდა სამღვდელოების მოთხოვნილებათ და გამჭრიახედ აღევნებდა თვალს, რომ კონსისტორიაში მისევან შემოღებული წესები ლირსეულად ასრულებულიყო. ამიტომ ცხადია, რომ ამისთანაუმაღლესად განათლებულ ხასიათს მექანე მწყემსთ-მთავრის წინაშე, სამღვდელოების ქვრივები და ობლები ჰქონდნენ მასში მზრუნველ მამას, რომელმაც მოსწმიდა ბევრს ცრემლები და რომელმაც ბევრს შეუმჩარა მწუხარებანი. მწყემსთ-მთავრის ყველა ამ ზრუნვაზე მაიტანა კეთილი ნაყოფი, და პიშინევის ეპარქია მაღალ გაუტოლდა კარგად გაწყობილ ეპარქიებს.

აქვე აჩ შეიძლება აჩ მოეიხსენოთ მაღალუკვლად უსამღვდელოესის პავლეს დიდი საშახური, რომელიც მან გაუწია აღმოსავლეთის ომის გაჭარვებულ დროს, როდესაც ის სიტყვით და საქმით ეწეოდა ტანჯულო, რომელთაც საუკეთესო თავისი ძალა შეწირეს გამოსახსნელად ჩვენ მოძმეთა, რომელიც იტანჯულონენ სათაორეთის მონების ქვეშ. ეს სამახური ყველასაგან ცნობილ იქმა, ვინც კი მონაწილეობას იღებდა იმ გმირულ ოშია, რომელსაც უწდა დაეხსნა შესრულებით გასარგებლოდ ბესარაბიის მხარისა და თავისი მშვენიერი მიმზიდველი ხასიათით მაღალ ყოვ-

ლად უსამღვდელოესმა პავლემ დაიმსახურა საზოგადო სიყვარული თვისი სამწყსოისა, რომელიც წათლად დამტკიცდა ათი წლის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის პიშინევის კათედრაზე მყოფობის დღესასწაულის დღეს 1881 წელსა.

შეკველია, რომ ეს უმაღლესი თვისებანი პიშინევის მწყემსთ-მთავრისა და მისი გამოცდილება იყო მიზეზი, რომ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პავლე დანიშნეს ახალს უმაღლეს და ისეთ პასუხის საგებელ აღგილზე, როგორიც არის მავკასიის მხარე. საქმით დამტკიცდა, რომ შორეულს მავკასიაშიც მაღალ უსამღვდელოესმა პავლემ არ უმტყუნა მისდამი შეთვისებულ ეკულესის მართველობის წესებს, მან საქართველოშიაც განაახლა და ახალი მიმართულება მასცა იმ დაწესებულებათ, რომელიც დაარსებულნი იყვნენ პატივცემულის მისი წინა მოადგილის, ეხლა მოსკოვის მიტროპოლიტის იოანნიკესაგან.

ამ გვარად მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პავლე შეიქმნა ლიჩის მოადგილე და განმაგრძელებელი მწყემსთ-მთავრული სამსახურისათვის სახელოვანი მღვდელობა-მთავრისა, რომელიც ეხლა განაგებს რუსეთის პირველ სატახტო ქალაქის კათედრას. მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი დაუღალავად მეცადინობს და შრომობს, რომ დაუახლოებოს საქართველოს ხალხი მის ახალს სამშობლოს, აღამაღლოს მართველებში სარწმუნოებრივ-ზეობითი გრძნობანი, მეცადინობს, რომ რაც შეიძლება გააერცელოს განათლება როგორც აღგილობით სამღვდელოებაში, აგრეთვე უბრალო ხალხში, მეცადინობს აგრეთვე, რომ იმიერ მავკასიის მხარეებში გააერცელოს მართლ-მაღიდებელი მრისტიანობა, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის პავლეს ბევრ საქმეებთაგან ჩვენ აქ დავასახელებთ შემდეგებს...

რომ საქართველოს მაეჭისარხოსოში მოეფინა მართლ-მაღიდებელი მრისტიანული წავლენ-განათლება, მწყემსთ-მთავარმამასიონის ცათედრის სობოროს-თან თეილისში დააფუძნა მართლ-მაღიდებელი ძმობა ყოვლად წმინდა ღვთის მშობლის სახელობაზე

ძმობის საგანს შეადგენს ზრუნვა: ა) რათა ღვთის მსახურების გარეშე გამართოს კითხვები და საუბრები საეკულისო და სხვა საჩრდილოებრივ-ზნეობითი საგნებზე; ბ) გაავრცელოს საღმრთო წიგნები და აგრეთვე გამოსცეს ცეკვასთვის გასაგები სარწმუნოებრივ-ზნეობითი შინაარსის წიგნები და გაავრცელოს საქართველოს მცხოვრებთ შორის როგორც რუსულ ენაზე, აგრეთვე მართულზე; გაავრცელოს საღმრთო გამოხატულებანი ანუ სურათები; გ) დააფუძნოს საეკულისო-სამრეველო წიგნთ საცავები და წიგნის საწყობები; ძმობა აგრეთვე ზრუნავს, რათა შესწავლილ და შეკრებილ იქმნენ მართლ-მადიდებელი შრისტიანული ძევები ნაშთები, რისთვისაც დაარსებულ უნდა იქმნეს განსაკუთრებითი მუზეუმი. თავის მჭერ-მეტყველურ მოწოდებაში სამწყსოსადმი მაღალ ყოვლად უსამღვდელოებს მა პავლემ განმარტა, თუ რამდენათ საჭიროა საქართველოში ის მისია, რომელიც შეადგენს ძმობის მოვალეობას და რამდენათ საჭიროა ზნეობით-სარწმუნოებრივი ზედ გავლენა ხალხზე. «სარწმუნოების ცოდნის უმექონელობა, ბრძანებს მწყემსთ-მთავარი, სხვა-და-სხვა ცრუ-მორწმუნეობანი, ცუდი ჩვეულებანი, რომლებსაც ეხლა ცხადათ ნიშნავს კაცი ძევლიდგანვე მართლ-მადიდებელ ხალხში, ითხოვენ ნამდვილ და უტყუარ ზომებს ამ ნაკლულევანებათა მოსახლეობად როგორც სამღვდელოების მხრით, აგრეთვე ჭეშმარიტი სარწმუნოების და მართლ-მადიდებელი ეკულესის კეთილდღეობის მეშურნეთა პირთაგან.»

მეორეს მხრით, მაღალ ყოვლად უსამღვდელოებს მა პავლემ საჭიროდ დაინახა «მავკასიაში შრისტიანობის აღმაღევნელი საზოგადოების» გადაკეთება. მს საზოგადოება არსებობს 1860 წლიდამ. ამ საზოგადოების მეცადინეობის საგანს შეადგენს მთიულ ხალხებზე ზრუნვა, რომელნიც წინეთ შრისტიანები იყვნენ, მაგრამ შემდეგ სხვა-და-სხვა უბედურ ისტორიულ გარემოებათა გამო მიიღეს მაპ-მადის სარწმუნოება ანუ, ნამდვილად რომ სთქვას კაცმა, თავის სწავლა-მოძღვრებას შეურიეს მაგომეტის და კერპთ-თაყვანის მცემელთა შეხედულებანი. სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო 1860 წლიდამ არ-

სებული საზოგადოება განაწილდა და აშიტომაც აშ-სა-ზოგადოებას არ შეეძლო მოსალოდნელი სარგებლობა მოეტანა. მწყემსთ-მთავარმა საჭიროდ დაინახა ამ საზოგადოების გარდაკეთება და არალი წეს-წყობილების შეტანა ამსაზოგადოების წესდებაში. ახლად გადაკეთებული წესდება საზოგადოებისა უმაღლესად დამტკიცებული იქმნა 1885 წელსა, მარტის 9-სა. შეკველია, რომ ეს საზოგადოება მაღალ ყოვლად უსამღვდელოების პავლეს ხელმძღვანელობით მიაღწიეს თავის მიზანს და მოაქცევს მართლ-მადიდებელ სარწმუნოებისადმი მთიულ ხალხთა და ამით დაუახლოებებს მათ სხვა ხალხებს, რომელნიც სუბორებენ რუსეთის იმპერატორის მფარველობასა ქვეშე.

რომ თავის მწყემსთ-მთავრული მოვალეობა უფრო კარგად შეესრულებია მავკასიაში, მაღალ ყოვლად უსამღვდელოებს პავლემ ამ ბოლოს დროს საჭიროდ დაინახა, რომ ეპარქიების ახალი დაწყობილება მოეხდინა საქართველოს საექსარხოსაც და გაედიდებია მათი რიცხვი. პოვლად უსამღვდელოების ყოველივე მოსაზრება ამ ახლად ეპარქიების დაწყებაზე და მათი რიცხვის მომატებაზე უმაღლესი მთავრობისაგან დამტკიცებულ იქმნა და, ნაცელად ოთხი ეპარქიისა, მავკასიაში დღეს არის ხუთი ეპარქია, რომლებსაც განაცემენ დამოუკიდებელი და თავისუფალი არქიერები.

აქვე უნდა აღნიშნოთ, რომ მაღალ ყოვლად უსამღვდელოები პავლე შესანიშნავია აგრეთვე სასულიერო ლიტერატურაში ზოგიერთი თავის ძეირთასითზეულებაებით. გარდა იმ ღიღი მონაწილეობისა, რომელიც მიიღო მან კომიტეტში, რომელსაც მინდობილი ჰქონდა გადახედვა რუსულს ენაზე ნათარგმნი ძეველი აღთქმის წიგნებისა, მას ეკუთვნიან: მოთხოვთა პატრიარქის ზოტისა და «მოვალეობანი და დაწესებულებანი ეკულესიური მსახურებისა აღმოსავლეთის ძველ ეკულესიაში» სიტყვა: «კერპთ-თაყვანის ცემლობაზე», ულტრა მონტანიშვილე, რომელსაც ამხილებდენ პატრიარქი (თარგმანი ურანგულიდამ); «პატრიარქის ზოტის წერილნია (თარგმანი ბერძნულიდამ); «მნშვნელობა და საგანი ეპარქიის

უწყებათა» და სხვ. ამის გარდა, იმისაგან გამოცემულ არიან სამ ტომას მისი «სიტყვანი და შესხმანი» თქმული 1879—1881 წლებში.

### კ ა რ ი ზ ი დ ა მ.

შიზეზები გადაიგნის სამღვდელოების ერზე გაგრძელების დროის შესრულება?

გალიკანის სამღვდელოების ხალხზე გავლენა, ან რომის სასულიერო წოდების დასავლეთის ხალხზე გავლენა, ეს—ერთი და იგივე კითხვაა, თუ არა გარევნობით და ფორმით, შინაგანი ხასიათით და არსებითი მხრით მაინც; ასეც უნდა იყოს, რადგანაც საფრანგეთის სამღვდელოება შტოა რომის სასულიერო წოდებისა, რადგანაც გალიკანის ეკკლესია უფროსი შვილია რომის ეკკლესიისა. ამის გამო ხევნებულ ეკკლესიათა და სამღვდელოებათა შორის ისეთი კავშირია, ისეთი ენტრო დამოკიდებულებაა, რომ თითქმის შეუძლებელია ერთზე ლაპარაკი, მეორის იმ დროსევე შეუხებლად დატოვება.—მაშასადამე ამ საჭიროებას ვერც ჩენ ავსუილდებით.

აქაური სამღვდელოების ხალხზე გავლენა, რომლის საიდუმლო შეადგენს მისს განსაკუთრებულ თვისებას და ლირსებას, ყოველთვის დიდი იყო და დღესაც თითქმის შეუცვლელია.

რით გამოიხატება ამ ნაირი გავლენა?—იმით, რომ დღეს, რაშენიმე საუკუნის განმავლობის შემდეგ, სასულიერო კითხები, საეკკლესიო ინტერესები ისე სასტიკათ არიან დაცულნი ხალხისაგან, როგორც იყვნენ მრისტიანობის უკეთესს დღეებში; იმით რომ საჩრდინებისა და მრისტეს სწავლისაგან რწმუნება შეუცვლელი დარჩა; კიდევ იმით, რომ მღვდელი და სასულიერო წოდება პატივცემულია. ამით ნაირად ვერც დრომ,—ვერც საოცარმა წარმა-

ტებამ შეცნიერებისა, სწავლა-განათლებისა და ციფილიზაციონისამ ვერ შეარყიდეს მრისტიანობა; ნაფორიც ვერ გააგდებინეს იმ საკვირველ ხეს, რომელსაც ჰქვან რელიგიონი; ერთი სილის მარცვალიც ვერ მოაკლეს იმ ღიღებულ შენობას, რომელიც არის ეკკლესია!..

მიზეზები ამ საკვირველი მოვლინებისა, თუ იკითხავს მკითხველი, პირველი, უახლოესი და უმთავრესი—კეშმარიტება და სიმართლეა მრისტეს სწავლისა; მეორე-კი თვითონ სამღვდელოება... მაგრამ პირველად:

რა არის სამღვდელოება?—მთელი სხეული, წოდება, განსაკუთრებული საზოგადოება, რომლის მიზანი და დანიშნულებაა ხალხის სულისა და ზეობის აღზღა, რომლის მოვალეობაა დახმარება ხალხისა იმ მაღალი და წმიდა იდეალის შესაგნებად, წარმოსადგენად და მისაღწევად, რომელიც ხალხს აკეთილშობილებს, ამაღლებს და ადიდებს, რომელიც მას აზინებს ამ სოფლის გამომარტოებულ ცხოვრებას, ამზადებს და ახლოვებს იმ უცხო სოფელს, საღაც სიცოცხლე არა ჰყალება, საღაც აქოთხებული ჰყარის მაგივრათ სიყვარულით იბრუნებენ სულს! რა უცხო ხელობაა, რა მშვენიერი პროფესიონია, რა მაღალი დანიშნულებაა!...

რაღანაც ის საზოგადოებაა მხოლოდ განვლენიანი, ძალუმი და პატივცემული, რომლის ორგანიზაციონი, დაწესებულებანი და დისკიპლინა უფრო რაციონალურია, რომელიც უფრო განათლებული და მდიდარია, რომელსაც საკუთარი დანიშნულება და მიზანი უფრო ნათლად და გარკვევით შეუგნია, ამიტომაც უნდა წარმოვიდგინოთ, რომ აქაური სამღვდელოება, მისთვის რომ აეხსნათ მისი გავლენა ხალხზე, ამ თვისებათა პატივრონია. მართლაც რომ ეს მხარე და ზე მას თითქმის სრულიად აქვს განვითარებული; თვისი მიზანი და დანიშნულება უმაღლეს ხარისხამდის აქვს შეგნებული. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საფრანგეთის სასულიერო წოდება ბევრი გაჭირვებული და ახირებული მდგომარეობისაგან დაუმარცხებელი და გამარჯვებული გამოვიდა.

რა ნაირია გალიკანის სამღვდელოების აგებულება? — მონარქიული, მონარქი, ან მეფე სამღვდელოებისა ბრძანდება რაოშში. მს ქალაქია მისი სატახტო ქალაქი; აქ არის მისი სასახლე-მატიკანი. ამ მეფეს ჰქონიან პაპი. პაპი არის მთავარი ძალის კუთხით ეკატერინესისა; იგი უკოდველად მიაჩინათ; მისი სიტყვა, ბრძანება და მოწერილობა — საბუთია, რომელიც უნდა აღსრულდეს კრინტ-ამოულებელად, უყოფანოთ. წარსულში პაპას წუთიერი უფლებაც ჰქონდა, რომელიც ჩამოერთეა ამ რამდენიმე წლის წინადა. პაპი ხელ-შეუვალი მთავარი იყო. თუ როგორ ან რა ნაირად რომის ეპისკოპოსი გამეფდა — ამ მოვლინების მიზეზები ისტორიას უკვე გამოკვლეული აქვს და დასკვნილიც. მაშასადამე ჩვენთვის ადვილია იმ მიზეზების და გარემოების აქ მოყვანა, მაგრამ ეს კითხვათ-არ შეეხება და განზე ვტოვებ. — ჩვენთვის უფრო საჭიროა ფაქტი, ე. ი. ის, რომ სხვა-და-სხვა გარემოებათა, ღროთა-ვითარებისა და ნიეთთა ისტორიული მსვლელობისა გამო პაპი შეიქმნა ის, რაც დღეს არის? იყო ღრო, როდესაც მეფეები ექვემდებარებოდნენ და თაყვანსა სცემდნენ პაპს, როდესაც ეცროპის ხელმწიფეები ფიცით აძლევდნენ მას სიტყვას «არაეითარი განკარგულება არ ვქმნათ ჩვენს სამფლობელოში თქვენდა დაუკითხადო»; როდესაც სახელმწიფოები და მაზრები იძულებული იყენენ ბეგარა ეძლიათ მისთეის... პაპს რომ რომელიმე მეფე შეჩერენება, ის მეფე ჰკარგულა სამეფო უფლებებს ხალხის თვალში; პაპი აგვირგვინებდა მეფეებს და, შემდევში ეს უფლება მან მანიჭა სხვა-და-სხვა სახელმწიფოების ზოგიერთ ეპისკოპოსებს. სხვათა შორის, საფრანგეთში ეს უფლება რეიმბის ეპისკოპოს ჰქონდა მინიჭებული. რეიმბის ეპისკოპოსი აძლევდნენ საფრანგეთის მეფეებს გვირგვინს, კვერთხსა და პორტირსა.... აი, როგორი იყო, დაახლოვებით, პაპისა, რომის სასულიერო წოდებისა და გალიკანის სამღვდელოების წარსული, დიდებული პოლიტიკური მდგრადიერობა და მნიშვნელობა; აი, რა მშეენირი ისტორიული სევ-ბედი აქვს აქაურ სამღვდელოებას. თუ მავიღებთ მხედველობაში სამღვდელოების მაშანდელ განათლებას და აუზრებელ სიმდიდრეს,

ადეილად წარმოვიდგენთ, რა გავლენა ექმნებოდა მას ხალხზე. მს გაელენა, იმ დროის შოთაბეჭდილება კიდევ დღემდისაც არ გამქრალა ხალხში.

რაც შეეხება დისკიპლინას, ამ მხრით აქაური სასულიერო წოდება სამაგალითო რამა, ისეთი გაწროთვნილი და გავარჯიშებულია. შმუროს-უმორო-სობა, რიდი და მორჩილება, ერთობა და თანხმობა შეიცავს უცილოდ სამღვდელოების პირველ ძალას.

სასულიერო სჯულები და წესები მტკიცედ აქვს მას დაცული. პაველი წესის და კანონის გარდამა-გალი, რა ჰერარქის ხარისხსაც ეკუთვნოდეს, სასტი-კადა დასჯილი. ძარგად გაბედაეს, მაგალითად მღვდელი, რომ წირვა დააკლოს თავის მრევლს, ან უოველ დღე თრჯერ არ ჰწიროს და იმოძლევროს, ან თავის ბინას მოშორდეს ერთს წუთს ეპისკოპოსის ნება-დაურთველად. ეპისკოპოსის ბრძანება მღვდლის თვალში რაღაც ციდამ მონაბერია. ამ ნაირი წინ-დახედულობით, კარგად თავის დაჭერით და თვისი მოვალეობის მტკიცე ასრულებით, აქაურ სამღვდე-ლოებას დაუმსახურებია საზოგადო პატივის-ცემა და სიყვარული.

სიმდიდრე და ნიეთიერი შეძლება საჭიროა ხა-მღვდელოებისათვის ხალხის მოსამაღრიელებელად: მხოლოდ, რადგანაც ეს სიმდიდრე მას ეძლევა ხალხისაგან, იგი ამ უკანასკნელს უკანვე უბრუნებს მას სხვა სახით. რასაკირველია, ციდელებულების, ამ ნაირად ხალხი იბრუნებს, რაც გაუცია; სამღვდე-ლოება იძლევა, რაც მიუღია. ან კი რად სჭირია აქაურ მღვდელს სიმდიდრის შენახვა? ცოლ-შეილი მას არა ჰყავს, ოჯახი მას არ აბალია, ვის უნდა დაუტოვოს, თუ არა იმ მრევლს, რომელსაც იგი მთელი თვისი სიცოცხლე ემსახურებოდა? — წარ-სულში გალიკანის ეკალესია ძალიან მდიდარი იყო. მონასტრებს და სასულიერო სასწავლებლებს აუზრე-ბელი მამულები ჰქონდათ. ეპისკოპოსები ნამდეილი ფერდალები იყენენ. ამ ასი წლის წინაც კიდევ სა-ფერდალები იყენენ. მავიღებთ მხედველობაში სამღვდელოების მაშანდელ განათლებას და აუზრებელ სიმდიდრეს,

გა საჭურება, რის გამო ეკულესიასაც წაართვა მამულები და გაუსყიდა. აწინდელი შემოსავალი ორმოცი მიღინდა! ზანა ამ ფულებით ცოტა საქმე გაკეთდება? ცოტა სამსახური შეუძლია ხალხს გაუწიოს სამღვდელოებამ ამისთანა შეძლებით? — მს ფულები იხარჯება საყდრების შესანახავად და გასამშენიერებლად, ეკულესის მოწყობილობის დასაცველად; სასულიერო სასწავლებლებზე, სადაც სწავლა უსასყიდლოა, ან ნახევარ ფასადა; გლახაკთათვის, გაჭირვებულთათვის და დაქრდომილთათვის თავ-შესაფარ შენობაზე და მათ სასმელ-საჭმელზე და სხვა და სხვა... ამისთანა მაგალითების მოყვანა სამღვდელოების ქველ-მოქმედებისა ბევრი შეიძლება.

ახლა შევეხოთ განათლებას. — ამისთანა განათლებულ და დაწინაურებულ ქვეყანას და ერს, როგორიც არის საფრანგეთი და საფრანგეთის ერი, შესაფერი განათლებული სამღვდელოებაც უნდა ჰყონდეს. სასულიერო წოდებამ ბევრი შესანიშნავი კაცი მოსცა სამშობლოს. ბევრი მეცნიერი, მწერალი, ლიტერატორი, ფილოსოფიისი, პოლიტიკისი და სახელმწიფო კაცები გამოიიდნენ ამ წოდებისაგან. — როდესაც რომელიმე წოდება შრომობს, მთაქვს რამე საგრძნობელი და სასაჩერებლო ნაყოფი, როდესაც წოდება ყოველ წუთში უმტკიცებს ქვეყანას და ხალხს, რომ მისი არსებობა სა არგებლოა — ამისთანა წოდება ყოველთვის პატივ ცემულია, თუ გინდ მისს პირველ დანიშნულებას ნიადაგიც აღარ ჰქონდეს. — არ მოიპოვება აქ იმისთანა მღვდელი, რომელსაც უმაღლესი სასულიერო სემინარია (რომლის შესაფერი რუსეთში სასულიერო აკადემია) არ ჰქონდეს გათავებული. ამ პირობებში, აშკარაა, მღვდელი დიდად და დიდად უფრო მაღლა სდგას გონების და ზეობის განვითარებით მრევლზე, კრებაზე; მისი მხედველობის ჰილიზონტი დიდად უფრო განიერია გლეხისაზე, მაშასადამე რა კითხვითაც უნდა მიმართოს ამ უკანასკნელმა მღვდელს, ეგ ყოველთვის შესძლებს აუსნას, გაგებინოს, დაუმტკიცოს და დააჯეროს. ამის გამო მღვდელს გლეხის თვალში დიდი პატივი აქვს... რაც გრძლად ვხოქვა, მოკლედ ასე გამოისახე-

ბა: აქაური მღვდელი მდიდარია, განფოლებული და განვითარებულია, კარგად აღზრდილია, თანას შოგალეობას მტკიცედ და პატიოსნად ასრულებს, უცოლ-შვილოა, რის გამო მთელი დღე საღვთო წიგნების კითხვაში და შრომაში ატარებს დროს, ყოველთვის წმინდად ჩამულია, არ ლოთობს და არ ქეიფობს, გლეხს ან მუქთად უზრდის შეილებს, ან ნახევარ ფასად, ეხმარება მას ყოველნაირ გაჭირვებაში, აძლევს და კიდევ შეუძლია მისცეს რჩევა და დარიგება. მრთი სიტყვით მღვდელი მდიდრად შეჭურვილია საჭირო თვისებით, რომ მჩევრლზე შესაფერი გავლენა იქმნიოს.

### თნაბეჭდი

### გ ც ი რ ე ჭ ე ნ ი უ ვ ნ ა.

ბაქოდამ თრას ვერსტის მოშორებით არის ერთი ადგილი, რომელსაც მისაიღოვეს ეძახიან (низовая пристань). ამ ადგილას ამ ოცდარი წლის წინეთ მოსულან რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებიდამ რუსის გლეხები და დასახლებულან აქ. ამ მართლ-მადიდებელ გლეხებს 1885 წლამდე არც ეკულესია ჰქონიათ და არც საკუთარი მღვდელი ჰყოლიათ, რის გამო ზოგიერთ გლეხებს სარწმუნოება შეჩერებულია. ამიტომ დიდი ჯაფა და შრომა დაჭირდებოდა იმ მოძღვარს, რომელსაც ამ გლეხებს დაუნიშნავდნენ მღვდლად. აქ დანიშნულ იქმნა მღვდლად ერთი ახალ-გაზდა მღვდელი იმანავე დავიდოვი. მ. დავიდოვი მივიღა ახალ სამწყსოში თუ არა, მაშინვე შეუდგა ეკულესის შენების საქმეს. მისგან დაწყებული ეკულესია მოთავებულ იქმნა 1885 წ., მარტის ათს. ეკულესია მაშინვე აკურთხეს და ამ დრო, იდგან ამ ეკულესიაში მუდამ სრულდებოდა წირვალოცვა. მ. დავიდოვმა ბევრი შრომა გასწია ამ ეკულესის აშენებაზე. რადგან ადგილობით გლეხებს

თავიანთ სილარიბისა გამო შთლად თავისი ხარჯით არ შეეძლოთ ეკულესის აშენება, ამიტომ მ. დავი-ლოება გამოითხოვა მთავრობისაგან ნება-რთვა ფუ-ლების შეკრებისათვის. ამ სახით მან შეკრიბა 200 მანეთამდე. წმიდა სანთლის ვაჭრობიდამ შეჭრიბა სამას მანეთამდე. პდგილობით მაზრის სამმართვე-ლობამ მიიღო სამას მანეთამდე. ამავე კეთილ-საქ-მეს მოახმარა ერთი წლის თავის ჯამშირი 400 მან. ზარდა ამისა მ. დავილოების თხოვნით და მეცადინო-ბით ეკულესისათვის საჭირო ხის მასალა დაეთმო მღვდელს უფასოთ. ძალი კელი და სხვა ეკულესისა-თვის საჭირო ნივთები მოიპოვა უსასყიდლოდ და ამ გვარად მამა დავილოება ცოტა ხანში ააშენა ზემოთ მოხსენებული ეკულესია, რომელსაც კაცი ვერ ააშე-ნებდა სამი ათას მანეთ ნაკლებ.

მხლა ეს პატივ-ცემული მოძლეარი გადმოყვა-ნილ იქმნა ზორის მაზრაში სოფელს ზემო ნიქოზის მღვდლად. აქც მამა დავილოებს მოელის არა ნაკ-ლები შრომა და ლვაწლი. ამ ლვაწლს და შრომას მოითხოვს მისგან ამ სოფლისძეელი სობორო, რო-მელიც აშენებულია მეტეთ საუკუნის ნახევარში და რომელშია განისვენებს გვამი წმიდა რაჭდენისა. მს სობორო დროთა-ეითარებისაგან ისე არის მიხრწი-ლი, რომ, თუ მალე არ მიექცა მას ყურადღება, მთლად დაიქცევა და ამ გვარად საქართველოს და-ეკარგების შესანიშნავი ძველი დროის ნაშთი. მ. და-ვილოები, როგორც გავიგეო, კიდეც შესდგომია ამ საქმეს და იმედია, რომ, თუ მას ხელს შეუწყობენ ჩვენი საქართველოს შვილნი, ამ საქმეს კიდეც მალე დააგვირგვინებს. მ. დავილოებს უკვე უთხოვია მთავ-რობისათვის, რათა მიეცეს მას ეკულესის შეკეთე-ბის და ამ ეკულესისთან სკოლის გახსნის ნება-რთვა.



ს ა ი ს ტ რ რ ი რ მ ა ს ა ლ ა. \*)

ვარიის მონასტერი.

1156—1212 წ.

(დასასრული.)

ბეკრი მტერი დასცემია ვარდის მონასტერს, მაგ-ამ მონასტერი უთველთვეს გადაწენია მტრის ათხერბას.

\*) იხილე «მწყემსი», № 7.

ბოლოს დაწერულმა აათხერა ეს მონასტერი და ბეკრი ქიატიანენი წაიუვანა ტეგეთ. ეს მოხდა თავისის შემ-დეგ, ოცნა მთელი საქართველო განაწილებულ იქმნა სპარსთა და ისმალი შორის 1638 წელში. ამ გვარად სათბეგოში გაგრცელდა მაჭადიანობა. 1659—1679 წლებში ძრიულ გაგრცელდა აქ მაჭადიანობა. კინც ნებით არ მიიღებდა მაჭადის სკულს, ის უნდა გადასასტებუ-ლიუთ საქართველოდამ. ერთი სიტყვით უსკულონი ძრიელ აწესებდნენ ქართველებს.

ვარძია შესანიშნავია თავის ადგილის მდგარეობით. აქ მშენები ბაღებია, რომელიც განთქმული არის თა-ვიანთი ხენილებით. გარძიის გადმით კავასეთა, რომე-ლიც შეადგინს ახალ-ქალაქის მაზრას, სამხრეთით ძეგს ახალ-ციხე. ამ არ მაზრაში მარტო თც-და-ერთი სოფე-ლია ქართველთა, დანარჩენი სოფელები ეკუთხნით სომ-სებს, თათრებს და ქურთებს. თათრებში ბეკრი არან ქართველ გერართაგანი, როგორც მაგალითებს: აბაშიძეები, რაჭალინიძეები, ვაჩნაძეები, ფალავანდები და სხვ.

ვარძიას მონასტერი არის დაწერული მეზე გიორ-გი III ის ძის დიმიტრისაგნ, დასრულებით კი დასრუ-ლებელია თამარ მეფისაგნ. ამ მეფეების დროს ვარძიის მონასტერი სახატრელ მდგრამარეობაში ყოფილა. ბოლოს კი ვარძიას გამოუცდია ათას ნაირი მტარვალობა ქრისტეს სარწმუნოების მტერთაგან. როცა 1604 წელში ეს მხა-რე თათრებს დაუპურიათ, მაშინ გაეკრანებულა ეს მონას-ტერი და სხვა ჩვენი ეკელესიები. ბოლოს, როცა რუსის მართგბოლობამ დაიბრუო ახალ-ციხის მაზრა, მაშინ ეს მო-ნასტერი ისევ ახლდება. 1857 წელში ერთ ბერძენის ჭავიას შეუნიშნავს, რომ ამ ძეგლ მონასტერში მოდიო-დენ სსგა-დ-სხვა მხარეებიდან მღოცელები და მოქმედ-დათ შესაწავა, მაგრამ მონასტერს უგრის მვდებული კაცი არა ჰყავდა. ის, ამის მიხედვარე, დაბატონებია მონასტერს. მას მოუწევენ საღის, გაუსუფთავებია მო-ნასტერი და მისი სენაკები, გაუგეთებია ეკელესისათვის კაცები. ეკელესიაში გაუგეთებია გნეველი, რომელიც დღე-სეს არის. ბოლოს ეს გარემოება მოუხსენება მაშინდელ ახალ ციხის ბლაფორბისთვის (რესიტაციით). როცა მონას-ტერი და მისი სენაკები სწმინდეს, მოწვევის 1857 წ. საქართველოს ექსარტისად უთველი განსკენებული არქიეპისკოპოსის ეკელესი და აკურთხების მონასტერის

კბილება. ამის შემდეგ ექსარხოსის ეპსეკისაგან გამომწერებულ იქმნა ამ მონასტერში ერთი მღვდელ-მონაზონი და ორი მორჩილი, რომელთა აქ კბილება აღდგინეს დათის მსახურება.

ეს მონასტერი 1867 წელში აჭარის თათერებმა გაცარცვეს. ამ გარემოებამ გამოიწვია ადგილობრივი სამოქალაქო მთავრობისაგან განკარგულება, რომლის ძალით ასლო-მასლო სოფლების რიგ-რიგობით უნდა უარესდათ მონასტრისათვის. ბოლოს, რადგან ეს ყარაულობა სამძიმო შეიძლება სოფლებისათვის, მათ გამოიდეს 250 მანეთი, რომელიც დაწინაშეა მონასტრის მუარეულს წელიწადში ჯამისგირად.

მონასტერს დღეს ცოტა შემწერა ეძლევა აკადემიურასიში ქრისტიანობის აღმაღენელი საზოგადოებისაგან. დარსა კი ეს მონასტერი, რომ საზოგადოებამ მას უურადღება მიაქციოს, როგორც ძველ ისტორიულ ნაშის და წევნი მეუებების ნაღვაწს.

9 აგვისტოს 1885 წელში ამ მონასტერში მობრძანდა კავკასიის მთავარ-მართებელი, რომელზედაც დადგინდებოდა მთავარებელება მთავარინა ამ მონასტრის ძველმა ხელობრებამ და მსამართებებამ. ბ. მთავარ-მართებელმა ბრძანა, რომ ის გამოგზავნის კაცებს ამ მონასტრის ასაწერად და მათთან მათმა ბრწყინვალებამ ადგითება, რომ ის იშვიდებომლებს საქართველოს ექსარხოსის, არქიეპისკოპოსის ჰავლებს წინაშე, რათა ეს მონასტერი იქმნეს შერიცხული შტატის მონასტრად.

ამ კარძმიდამ დასაკლებისებნ, ლო ხევ შეა, სამი კერსტის სამირეზე არის ესედ წოდებული «ზედა ვარ-მა». აქ არის მშენებირი წითელი თლილი ქვით აშენებული შეტარა კბილება, რომელიც ქურთებს საქანდის დასამწერებელ აღგილათ გაეხადათ, მაგრამ დღეს ეს კბილება დაცულია ამ გეგმის შებილებისაგან. ამ შეტარა კბილების სამხრეთით აქეს ერთი კარი, რომლის თავზე ამოქრილია ჯვარი. ჯვარის გარშემო ხუცერი ასოებით არის შემდეგი წარწერა: «დედა ღვთისაო, მხევლისა შეტარნის და შვილის თამარისათანა დღესა მას საშენებელისა ჲვენ, რომელმა გულს მოდგინებითა აღგაენა წმინდა ეს კბილება. ამინ.» ამ კბილების გუმბათი და გრძესილი ჩამონგრეულია.

აქ არის ხევებში ბევრი სხვა-დასხვა ემბლემათა წანგრევი და გამოტკბამული არიან, რომელიც უმნიშვნელო არ იქნებიან ჩვენი არქეოლოგებისათვის.

წინამძღვარი ვარძიის მონასტრისა მღვდელ-მონაზონი კალისტრატე.

### 6 ე პ რ ლ ლ 8 0.

1-ლ აზრილს თორმეტს საათზე აზურგეთის მომრიგებელი მოსამართლე შეკლე ანდრიას მე ბაბინი სასამართლოში საქმის გარჩევის ღრუს უკრად გარდაცვალა. ეს იურ შთამოქმედობით რესი, მაგრამ კავკასიაში, სახელდობრ ქუთასში, დაბადებული და გაზიდილი; ამ მძღვალს, შეუბლადავის სინდისით აღჭურვილს გაცს მუდამ თავი ჭირნდა გადადებული თავის მოძმებისათვის და უსამართლობა მის მიერ მუდამ მეაცრად იდეკნებოდა. მარტო ის თავ-განწირულება დათ ღიას, რომელიც გამოიჩინა ბაბინმა ათის წლის განმავლობაში აზურგეთის უზღდის გამგეობით. ეს კაცი იურ მაღალ საშწავლებელში კუს შესრულებული, ნიჭიერი, საქმის მცოდნე და რომ სდომებოდა, თუ სამსახურში არა, ადგომატებს შორის მანც შირველს ალაგს დაიკერდა ტფილისა და ქუთასშის. ლოს თუმნის მაგიერად, იმას შეეძლო შვილი რვასი თუმანი წლის შემოსავალი ჭირნიურ და თვით ტფილისშიაც ეცხოვანა, სადაც გარდა კეთილ-ძგორამარტობისა, სულიერი საზოგადოც მისის განათლების შესაფერი ჭირნიური; მდგრამ არა, როდესაც მან შესედა, რომ საწეალი გურაის ხალხი საჭიროებდა სამართალს და მოუღომლობას, იმან არჩია ერთ მიურუებულს უზღდის ქალაქში ჩამჭდარიულ და ხალხისათვის მძიმე უსამართლობის ტფილთ შეემსუბუქებინა. როგორც უთველებან სხვევია, რომ მართალს კაცს დუკნა და მტერობა არ მოჰშლება, ისე ბაბინსაც აღმოუჩნდენ თავისი მდეგნებები, რომელთ გროვამ განაზრას ერთი მისი ხელშეკეთი მოსამსახურე მ...კი. ამ უღილსმა ახალ გაზდამ მისარგით დაჭრა კეტი შარშან აზურგეთის ბულგარ-

ზედ და თავი გადაფხრინა, ოზურგეთის უეზდის ხალხი დაბადებული შეაძლენა ამ ბარბაროსულმა მოქმედებამ და თავის თანაგრძნობის გამოსაცხადებლად მიართვა გადასულს მსაჯულს ადრესი, ოომედჩედაც ათასზე მეტს ეწერა ხელი. ისინი ანუგე შეძლენ პაკუ ბაბინს და სთხოვდნენ, რომ არ მოქმედებინა ოზურგეთის უეზდი და არ გადასულიყო სხვაგან. ამას გარდა მაღლობელი ხალხი უშირობდა ნიშნად მისის შეკლ-მოქმედობისა რექტოს ძეწების ჩუქებას, მაგრამ უცარმა სიკედილმა ადარ დააცალა, ჰატიოსახს მამულის შეიდას სიცოცხლეშივე ენახა ნიგთიერი დამტკიცება სალხის ხიევარულისა. ბაბინმა იცოდა კარგად ჭართული და იმერეთს თავის საშმაბდოს ეძახოდა. მას ზოგიერთებ-საკით «ჩვენის» და «თქვენისა» გარჩევა არ იცოდა. ამისთანა სამართლათანობის შედეგი ის უფა, რომ ბაბინმა მოიპოვა ოზურგეთის უეზდში განუსაზღვრული ბატივისცემა და გავლენა. ერთი მისი სიტყვა კმარდა, რომ მოსისხლე მტერი, საუკუნოდ ერთმანეთზე გადამტკიცებული, შერიგბულივენ და ნიადაგი შერი, დავა და საჩიგარი მოქაბით. საუკუნო განსენება მოგცეს ღმერთმა შატიოსანო შეკლ-მოქმედო მოლგაწევ! მთელი გურია სტირის შენს უდროოდ სიკედილსა და შეიღის-შეიღომდე დარჩება იქ შენი გმ-თილი ხსენება! («ივერია»)

### ახალი აგბები და შენიშვნები.

ექვს აპრილს მიერეთის ეპისკოპოსმა ბაბრიელმა აკურთხა განახლებული ყვირილის ნათლის-მცემლის ეკულესია. შირეაზე იგალობეს ნოტებზე მართული საეკკლესიო გალობა, ახლად გადაღებული ბატონი მორიძისაგან, არქიდიაკონმა იოსებ შარაბაძემ, მ. ბალანჩიგაძემ და ი. წერეთელმა. იგალობეს მშვენიერად და საზოგადოებასაც ძლიერ მოეწონა.

31 მარტს მართული საეკკლესიო გალობის აღმაღინებელმა კომიტეტმა კიდევ ჩაიხარა სამოცდა-

თორმეტი ახლად გადაღებული სხვა-და-ხვა ხატიცელე-სიო მართული საგალობლები. დარჩა კიდევ გადულებელი ასი საგალობელი. იმედია, რომ ამასაც მალე გაათავებენ, რადგან მუყიათად და გულით არიან შედგომილნი მუშაობას როგორც ბ. ზილი-მონ მორიძე, ისე გალობის გადამცემლები: დიაკონი რ. ხუნდაძე, აზნაური დიმიტრი ჭალაგანიძე და ივ-ლიანე წერეთელი.

\*\*

ბურია-სამეცნიელოს ახალი მღვდელთ-მთავარი, ყოვლად სამღვდელო ბრიგორი თფილისიდამ გამობრძანდა ოთხ აპრილს და ამ დღეს შუთასში მობრძანდა. შუთასის სტანციაზე მრავალნი მიეგებნენ მას. ღითხ აპრილს შუთასში დარჩა და ხუთს გაემგზავრა ხონით მარტვილში. ექვს მარტვილში სწირა და სააღდვომოთ მარტვილშივე დარჩა. სამღვდელოება და საერო წოდება დიდის სიხარულით მიეგებდენ მას. ამ თვის უკანასკნელ რიცხვებში, ამბობენ, ყოვლად სამღვდელო ბრიგორი შიბრძანდება ცოთშიო.

\*\*

რუსეთში აგერ თორმეტი წელიწადია, რაც პ. პო-პოვიცის რედაქტორობით გამოდიოდა ერთი შშვენიერი და ყველასგან მოსაწონი გაზეთი «Церковно-ინშ. ვეს्टნიკъ» ი. მს გაზეთი იყო სამღვდელოების ინტერესების დამცემელი და მექომაცე. ნიადაგ ყარეულად იდგა და როდესაც შენიშვნაები ვისმეს თავის წრიდგან გამოსულს, ყოველი ღონისძიებით ცდილობდა, რომ თავის აღვილზე დაეყენებია და მისი წრიდგან გამოსულით შეწუხებულნი და შეეწროებულნი პირნი განეთავისუფლებია. ღრი-სამი წელია მას აქეთ, რაც ამ გაზეთს აუმტკიცნენ ისხი, ვისაც ნამეტნაება ხედებოდა გულში ამ გაზეთის ცხარე სიტყვები. გაზეთს ცენზორი დაენიშნა. ისეთ მდგომარეობაში ჩაეცრდა გაზეთი, რომ ეს დაუღალავი რედაქტორი იძულებული შეიქმნა სულ დაეხურა და მოესპო თავისი გამოცემა. ჭეშმარიტად ძლიერ სამწუხაროა მთელი სამღვდელოებისათვის იმისთანა-

\*\*

ორგანის მოსპობა, როგორიც იყო ყველასგან პატივუმული ა. პოპოვიცის ორგანი.

\*\*

† 24 მარტს თბილისში გარდაიცვალა დეკანოზი პავლე ქოროლევსკი, რომელიც 27 მარტს დამარხეს ალექსანდრე-ნევსკის ეკკლესიის გალავანში. ზესის ავებაზე და წირვაზე დაესწრო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი საქართველოს ექსარხოსი პავლე. განსვენებული თფილისის სემინარიაში იყო დიდი ხნიდგან. მასწავლებლად 1872 წლამდე ყველა მასწავლებლებში ერთი უსაყვარლესი მასწავლებელი იყო განსვენებული. ის იყო პირამთქმელი და სწორი ხასიათის კაცი და ამისათვის არ იყო დევნასა და ჩაგვრას მოკლებული. საუკუნოდ იყოს ხევნება შენი, პატიოსანო მოღვაწე და დაუღალაო მშრომელო...

\*\*

† 17 მარტს პეტერბურგში დასაფლავეს ერთი შესანიშნავი მქადაგებელი დეკანოზი იღანეს ნიკორის ე პოლისადოვი. პოლისადოვი ცნობილია თავის შესანიშნავი ქადაგებადით მთელს რუსეთის მმკრიაში. არ დამარხულა ჯერეთ არავინ მღვდელთაგანი, რომ გმისთანა პატივი ეცეს ხალხს საზოგადოდ, როგორიც პატივისცემაც ხალხმა მას აღმოუჩინა. ხალხი სტიროდა ისე, როგორც თავის საყვარელ მახლობელ ნათესავს სტირის ხოლმე. პოლისადოვი შესანიშნავი და საყვარელი კაცი იყო თავისი მშვენიერი ხასიათით და ცხოვრებით. სიცოცხლის დროს დაიბარა, რომ მისი კუბო არ შემოსონ და არც შეღებონ. ის ჩასვენონ უბრალო ფიცრის კუბოში და დაასაფლაონ. დაიბარა აგრეთვე, რომ მღვდლებმა სამღლოვიარო შესამოსელი არ ჩაიცვან ჩემს გასვენების დროს. მისი დაბარება მტკიცედ აღასრულეს. როდესაც აუარებელმა ხალხის გროვამ დაინახა უბრალო ფიცრის კუბო, რომელშიც იყო ჩასვენებული მათი საყვარელი მოძღვარი, ყველას ტირილი მოუვიდა და სოჭვა: «ჩვენ საყვარელ მოძღვარს თავის ოქროს გული უბრალო ფიცრის კუბოში ჩაუდეით». ამ უბრალო ფიცრის

კუბოს დანახვამ ნამეტნავა გაუცოველა რსულა და პატივისცემა ხალხისა თავის მოძღვრისადმი. განსვენებულის დასაფლავების დროს წარმოითქვა მრავალი სიტყვები. სასაფლაომდისინ გაყვენებ მიცვალებულს თავის მოწაფები, რომელთაც ის ასწავლიდა საღმრთო სჯულს. მოწაფებისაგანაც წარმოითქვა გრძნობით საეს სიტყვები და თეალ-ურემლინები დაბრუნდნენ უკან. ნეტავი იმ მოძღვარს, რომელსაც ამისთანა სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია სამწყსოსაგან.

### რედაქციის პასუხი.

- მდვ. ჭ. ჭულაშვილი, მელანი გაგიშვილი, რომ ცოტა გაინც დასხენოდა ნაწერი ქალალზე და წაეკითხა კაცს? რაჭას. მდვ. გ, გ—ს. გაზეთებს ვგზავნით. მაგრამ ჩვენც ვწუხვართ, რომ არ იღებთ. თქვენი სტატია, სამწუხაროდ, არ დაიბეჭდება.
- ს. ს—ს. მდ. ი. ს—ს. უადგილობისა გამო თქვენი მოძღვრება არ იძექდება.
- თვ—ს. მ. ა. მ—ს. დრო წასრული აქვთ თქვენგან გამოგზავნილ სიტყვას.
- ს. გორდის, ი. ვ—ს. ყოველ სტატიასთან საჭიროა სრული ადრესი. უამისოთ არც ერთი სტატია არ დაიბეჭდება.
- დ. ზ—ს. მდ. ჯ—ას. სხვას რომ გამოეგზავნა ეგ სტატია, დავჭეჭდავდით. თქვენი სახელით არ შეიძლება. თავის ქაბას შეგვწამებენ.
- მდვ. ა. მ—გს. თქვენი ლექსი არ იძექდება.
- მდვ. ლ. რ—ძეს. ნათქვამია, რამდენსაც დაიყვენ მაღლი, უველოვის კაში გახედვა არ არის საჭირო. ლონდნ კაცი იყავი მართალი და «მედანსევებმა» რამდენიც უნდათ, იმდენი იყვიონ.
- ს. სა—ოს. პ. მ. ნ. ყ—ს. თქვენი მოძღვრება დაგვიანებულია და ამიტომ აღარ იძექდება.

## ელვოლთა საზურადლებლი.

გვირია გის, ხმის და საცისკრო სახარების მაჩვენებელი მოქმედს ამ ჩუპვ წელში.

როდესაც აღდგომა არის აპრილის 10-ს, მაშინ იქნება:

აპრილის	პ	თოშას კვირა
—	კზ	გვირია გე მენელსაცხებელთა
მაისის	ღ	კვირია კე განრღვეულისა
—	ის	კვირია კე სამარიტელისა
—	იც	კვირია კე ბრძისა
—	ებ	ამაღლება
—	კვ	კვირია კე წმიდათა მამათა
ივნისის	ა	სული წმიდის მოსვლა

თვე	რიცხვი	უოპ. წმიდა კვირია კე	ხმა	სახარება
ივნისის	ც	ა	ც	ა
—	ის	ბ	ა	ბ
—	ებ	ბ	ბ	ბ
—	კო	ბ	ბ	ბ
ივლისის	ვ	ე	ვ	ე
—	იგ	ვ	ვ	ვ
—	კ	ზ	ვ	ზ
—	კზ	ც	ზ	ც
აგვისტოს	გ	თ	ც	თ
—	ი	ი	ა	ი
—	იგ	ის	ბ	ია
—	კე	იბ	ბ	ე
—	რი	იგ	ნ	ბ
სექტემბრის	ზ	იდ	ვ	გ
—	იდ	იი	ვ	ს
—	კა	ივ	ზ	ე
—	კც	იზ	ც	ვ
ოქტომბრის	ვ	იც	ა	ზ
—	იც	ით	ბ	ც
—	იო	ი	ბ	თ
—	კი	კა	ვ	ი
ნოემბრის	ბ	კბ	ვ	ია
—	თ	კზ	ვ	ა
—	ივ	კი	ზ	ბ
—	კგ	კე	ც	გ
—	რ	კე	ა	გ
დეკემბრის	ზ	კზ	ბ	ვ
—	იც	კც	ვ	ც
—	კა	კთ	ვ	ზ
—	კც	რ	ც	ც
იანვრის	ვ	რი	ვ	ი
—	ია	ლგ	ზ	ი

Доз. цензурого Кутаисъ, 29 Апреля 1886 г.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ.

## განცხადება.

ისყიდება მღვ. დ. ლამბაშიძისა გამოცემული წიგნები:

თბილისში: გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში.

შუთაისში: ქ. ჭილაძების წიგნის მაღაზიაში.

ზვირილაში: უვირილის ნათლის - მცემლის

ეკულესის საეკლესიო ნივთების აწყობში და

დ. ხორი: შერეთლის წიგნის მაღაზიაში.

სახელი და ბრძოლა:

## საქართველოს საეპისკოპოსი

## ისტორია

ფუსი უედოთ — ცხრა შაური.

## კართული ლიცვანი,

ფუსი უდით 30 კ. და გარე უდით 45 კ.

## სახელ-მძღვანელო წიგნი,

მდგრელთაფის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო ფუსი უდით ექვსი შაური.

ახალი საული ერთ კონსისტორიათა ფასევ ბულება, ფასი ორი აბაზი.

## ახალი კართველი დისტანცია.

ფუსი უდით ერთ მან.

უვირილის საეკლესიო სანთლის საწყობში ისყიდება აგრეთვე ყოველ გვარი საღმრთო საკულესიო წიგნები და ნივთები.

შენარსი: ოფიც. ნაწილი: უშოდესის სინოდის განკარგულებანი. — არა ოფიციალური აღნიშვნა: ქრისტე ალსდგა! — როგორ დღესასწაულობრივ ჩვენში წინეთ კრისტეს აღდგომას. — მაღალ უკვლებ უსმილესელოებს ჰავლე, საქართველოს ექსარქოს. — პარიულამ. — მცირე უქიმუნი. — ვარმის მონასტრერი. — ნეკროლოგი. — ახალი ამბები და შენიშვნები. — რედაქციის პასუხი. — კალენდარული ცნობები. — განცხადება.

რედაქტორი-გამომცემელი მდ. დ. ლამბაშიძე.

მეტაზოდ უწევ უკეთესობისა და უკეთესობის.